ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5316019

ნომერი: AR1807551

თარიღი : 01.03.2021

გაცემის თარიღი : 09.03.2021

გაცნობის თარიღი : 10.03.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხაი-ზიჩი , N 2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხაი-ზიჩი , N4;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ ცაავა პ/ნ 01024060610
- პეკინის ქუჩა 14ა ბინა 40

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ნნ ინვესტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405190092
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კახა ღიბრაძეზე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01002016416

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4806829; (5105334 16/09/2020)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.12.2019

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თეიმურაზ ცაავა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N7; 04.03.2021 წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.გენგეგმაზე ნაჩენები იქნას წყალშემკრები მილები და წყლის გადაყვანის სქემა.
2.ტოპოგრაფიული გეგმისა და ფოტომასალის მიხედვით საპროექტო ნაკვეთზე გადის მომიჯნავე შენობაში შესასვლელი კიბე. საპროექტო გეგმაზე ნაჩვენებია კიდევ ერთი კიბე, რომელიც არ ზუსტდება საპროექტო შენობის ნაწილი იქნება თუ არსებული მოიცვლის ადგილს, გასათვალისწინებელია, რომ ამ მონაკვეთში მომიჯნავე შენობას აქვს ღია ნაწილები. წარმოდგენილი იქნა მკაფიო განმარტება აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში ნახაზებზე დამატებული იქნას შესაბამისი მითითებები, შენიშვნები.
3.წარმოდგენილი იქნას განახლებული გეოლოგიური კვლევა.
4.წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი განმარტებით ბარათი კორექტირებულ სამუშაოებთან დაკავშირებით. დეტალურად იქნას აღწერილი დამატებულ ნაკვეთზე ჩასატარებელი სამუშაოები.
5.წარმოდგენილი იქნას დამატებულ ნაკვეთზე არსებული შენობის ანაზომები.
6.ჭრილი 2-2-ზე 1-3 ღერძებს შორის სართულშუა გადახურვა იქნას ნაჩვენები.
7.წარმოდგენილი იქნას დამატებით ფასადი/ჭრილი ნახაზი სადაც გამოჩნდება ეზოს ფასადები.
8.საპროექტო ფასადის ნახაზებზე მითითებული იქნას მასალები და ფერი RGB RAL კოდებით.
9.დამატებით წარმოდგენილ იქნას საპროექტო და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის ფასადების ესკიზური განშლები (მომიჯნავე შენობების ფასადები შესაძლებელია დატანილ იქნას მხოლოდ კონტურების სახით) , რომელზეც დატანილი იქნება აბსოლიტური ნიშნულები როგორც ყველაზე დაბალ, ასევე ყველაზე მაღალ წერტილებში.
10.წარმოდგენილი იქნას პროექტის ავტორების თანხმობები მის კორექტირებასთან დაკავშირებით.
11.წარმოდგენილი იქნას კორექტირებული პროექტის შესაბამისი მოპ-ი. (წარმოდგენილია ტექსტურ ნაწილში და გრაფიკში მითითებული სამუშაობი არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულს, წარმოდგენილია ორი ურთიერთშეუსაბამო კალენდარული გრაფიკი, ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული სამშენებლო გენგეგმა)
12.წარმოდგენილი იქნას კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.
13.წარმოდგენილი იქნას განახლებული კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობების მდგრადობისა და კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მათზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.
14.წარმოდგენილი იქნას დამატებულ მონაკვეთში მდებარე შენობის კონსტრუქციული დასკვნა.
15.წარმოდგენილი იქნას ფოტომონტაჟი.
16.ღია ნაწილების მოწყობისას გაითვალისწინეთ - სამეზობლო საზღვრიდან არანაკლებ 0.6 მეტრის დაშორებით შესაძლებელია მოეწყოს ღიობი, ასევე აივანი და ერკერი, თუ შენობის საანგარიშო ზედაპირი, რომელზეც ასეთი ნაწილები არის განლაგებული, სამეზობლო საზღვრის შვეულ წარმოსახვით სიბრტყესთან ქმნის 75 გრადუსიდან 90 გრადუსის ჩათვლით კუთხეს.
17.საჭიროა საკადასტრო საზღვრების გასწორება და ახალი დაკორექტირებული საკადასტრო გეგმის წარმოდგენა. (საუბარია ნაკვეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არსებულ შეჭრილ მონაკვეთზე)
18. საჭიროა დამკვეთის დაზუსტება. კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთის ნაწილს ასევე ჰყავს მოაღნაგე - შპს „ვათერლო ბრიჯ“. თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს შპს „ვათერლო ბრიჯსაც“, ისიც უნდა იქნეს დაფიქსირებული დამკვეთად და წარმოდგენილ იქნეს მის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. ასევე, წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში აღნაგობის საფუძვლად დაფიქსირებული დოკუმენტაცია სრულად და საჭიროების შემთხვევაში, მესაკუთრეების - ირინე გიგაიას, ნანა

გიგაიასა და მარინე გიგაიას სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები. წარმოდგენილ იქნეს შპს „ნნ ინვესტის“ მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. ასევე, წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული 22/09/2020 წლის N200739229, 14/09/2020 წლის N200696674, 22/09/2020 წლის N200739216 და 14/09/2020 წლის N200694951 შეთანხმებები. აგრეთვე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ 2020 წლის 11 მარტის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველი (შპს„ნნ ინვესტი“) ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები პროექტის შესაბამისად არაუმეტეს 21 თვის ვადაში. შესაბამისად, ნებართვაც გაცემულია აღნიშნულ ვადაში. დღეისათვის, გარკვეული ვადა უკვე გასულია, თუმცა კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილია ისევ 15 თვეზე. ან კალენდარული გრაფიკით არ უნდა გასცდეს იმ ვადას, რა ვადითაც იყო უკვე გაცემული ნებართვა ან წარმოადგინოს ნანული ბუტიკაშვლისა და კლარა დიასამიძის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.